PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 29/05-14-1

ქ. თბილისი

29 მაისი 2014 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ვახტანგ აბაშიძის სახით, და მეორე მხრივ, შპს "საჩუქრები 95" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის სერგო გეგეჭკორის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1]) ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში ხელშეკრულება) -,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად;
1.5. „მიმწოდებელი" – იურიდიული პირი, რომელიც შემსყიდველს აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად;
1.6. ,,მიღება-ჩაბარების აქტი" - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება საქონლის მიღების შემდეგ.

2. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელი შემსყიდველს მიაწვდის გასაღების საკიდი ეროვნული დროშის სიმბოლიკით (შემდგომში საქონელი), შესყიდვის CPV: 18530000, ხოლო შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის მიღებული საქონლის საფასურს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 800 (რვაასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის ჩათვლით.

4. საქონლის დასახელება, რაოდენობა და ღირებულება

4.1.საქონელი- გასაღების საკიდი ეროვნული დროშის სიმბოლიკით.
4.2 საქონელი-რაოდენობა - 200 ცალი.
4.3 საქონლის ჯამური ღირებულება - 800 (რვაასი ლარი, ერთი ცალის ღირებულება 4 ლარი) ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. შემსყიდველი მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ეროვნულ ვალუტაში.
5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს საქონლის მიღების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერიდან და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი) წარდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
5.3. თითოეულ ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული უნდა იყოს მიღებული საქონლის დასახელება, ღირებულება და რაოდენობა.

6. მომსახურების მიწოდების ვადები და პირობები

6.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდვლისთვის საქონლის მიწოდებას მოთხოვნიდან ხუთ დღეში.
6.2. საქონელი მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.3 მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდვლისათვის მომსახურების მიწოდებას 2014 წლის 31 ივლისამდე.

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com
PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

7. სტანდარტები და გარანტია

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხიანი და სტანდარტების შესაბამისი საქონლის მიწოდება.
7.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი საქონლის დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
7.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები დეფექტის ან ნაკლის გამოსწორებისათვის და მიმწოდებელს მოსთხოვოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
8.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;
8.1.2. საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
8.1.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის მიღებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
8.1.2. უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.
8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
8.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1. მიაწოდოს სათანადო ხარისხის საქონელი სრული მოცულობით.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი და შემოწმება.

9.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ან/და შეამოწმოს საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და შემოწმების განხორციელების უფლება ენიჭება შემსყიდველის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს გრიგოლ სულუხიას, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.
11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.
11.5. შემსყიდველს, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ასევე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ყალბია;

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
11.6. ამ მუხლის 11.5. პუნქტის ა) ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

12. გამოყენებული სამართალი და ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
12.2. ხელშეკრულება დაიწერა ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

13. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.
14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის შესახებ.
14.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან დავის გადასაწყვეტად მიმართონ საქართველოს შესაბამის სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპზე შემსყიდველის მიერ გარკვეულია, რომ შემსყიდველის მიერ არ არის დარღვეული ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტის დებულებები.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია"
კომისიის თავმჯდომარე
ვახტანგ აბაშიძე

მისამართი: ქ.თბილისი, ქეთევან
წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
საიდ.კოდი: 204953050
სს ,,თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE11TB060000000609326

მიმწოდებელი:
შპს "საჩუქრები 95"
დირექტორი სერგო გეგეჭკორი

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის 26
საიდ.კოდი: 203826654
ს/ს საქართველოს ბანკი"
ა/ა: GE84BG 0000000346237500
BAGAGE22

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

ინვოისი

შპს „საჩუქრები 95“ 203826654

შემსრულებელი——————————————————ს/კ——————————————

ქ.თბილისი,რუსთაველის გამზ.N26 2998051;598579579ინეზა

მისამართი——————————————————ტელ——————————————

ს.ს საქართველოს ბანკი

ბანკის დასახელება——————————————————————————

GE84BG0000000346237500 BAGAGE22

ა/ა——————————————————ბ/კოდი——————————————

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული ბიურო

დამკვეთი——————————————————ს/კ——————————————

ქ.თბილისი.ქეთევან წამებულის გამზ/ბოჭორმის ქ.50/18 2311699

მისამართი——————————————————ტელ——————————————

N	საქონლის დასახელება	ზ.ერთეული	რაოდენობა	ერთ.ფასი	მთლიანი ჯამი
1	ბრელოკი ერ.დროშის სიმბოლიკით	ც	200	4	800.00
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
თანხა სიტყვიერად:–(რვაასილარი)					800.00

შპს:საჩუქრები 95”–ის დირექტორი:– /სერგო გეგეჭკორი/

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

2 ივნისი 2014 წელი

ქ. თბილისი

მიღება – ჩაბარების აქტი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა და შპს „საჩუქრები 95“ შორის 2014 წლის 29 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „საჩუქრები 95“-ის წარმომადგენელმა ჩააბარა, ხოლო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის წარმომადგენელმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (200 ცალი გასაღების საკიდი ეროვნული დროშის სიმბოლიკით).

ჩაიბარა

ადმინისტრაციული დეპარტამენტიდან

ჩააბარა

შპს „საჩუქრები 95“-დან